პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 84 (6149) 29 1978 წ. აპრილი, შაბათი
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# პარტიის საქმის ერთგულნი

## სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობა

**კრემლის** ყრილობათა სასახლეში, სადაც მუშაობდა საბჭოთა ახალგაზრდობის ფორუმი, გამოფენილია ლენინური კომკავშირის შრომითი საჩუქრები თავისი XVIII ყრილობისადმი. ამ საჩუქრებში აისახა საბჭოთა ახალგაზრდობის თითქმის 38-მილიონიანი ავანგარდის სასახელო საქმეები, მისი მისწრაფება ხორცი შეასხას სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

27 აპრილი ყრილობის მუშაობის მესამე დღე იყო.

ურყევია ჩვენს ქვეყანაში თაობათა მემკვიდრეობითობა — რევოლუციური, შრომითი, ზნეობრივი, მხედრული გმირობა და თავდადება — ეს მაღალი ცნებები აღელვებს თითოეულ ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანს, განაცხადა აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ა. გუსეინოვმა.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა **ვ. პ. ელიუტინმა** ილაპარაკა იმაზე, თუ რაოდენ დიდია ლენინური კომკავშირის პასუხისმგებლობა საფუძვლიანი და მტკიცე ცოდნით შეიარაღებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა, კომუნიზმის მტკიცე მშენებელთა მომზადებაში.

შემდეგ გამოვიდნენ კომკავშირის მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **მ. ი. ხმელნუშკინი,** ულიანოვსკის ვ. ი. ლენინის სახელობის № 1 საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი **ტ. დ. ლობანოვა,** ტაჯიკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ს. სატოროვი,** სსრ კავშირის განათლების მინისტრი **მ. ა. პროკოფიევი.**

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი მრავალმილიონიანი ნებაყოფლობითი საზოგადოების სახელით ყრილობას მიესალმა დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ი. პოკრიშკინი.**

შემდეგ გამოვიდნენ არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ფიზკულტურის მასწავლებელი, ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების არაერთგზის ჩემპიონი **ი. კ. როდნინა,** კომკავშირის ალტაის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ვ. ჟუგანოვი.**

ყრილობას საბჭოთა მეცნიერების მთავარი შტაბის გულითადი სალამი გადასცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **ა. პ. ალექსანდროვმა.**

სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობის შემდეგ განვლილი ოთხი წელი საქართველოს კომკავშირისათვის ახალგაზრდობის აღზრდის, თვითაღზრდის, ახლებურად აღზრდის პრობლემებისადმი დიფერენცირებული, ინდივიდუალური მიდგომის პრაქტიკული განხორციელების პერიოდი იყო, — თქვა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჟ. კ. შარტავამ.** — ზნეობრივი კლიმატის პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, რომელსაც რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაცია წყვეტს.

სრულიად საკავშირო ალკკ-ის ცენტრალური ამოცანაა აღზარდოს ახალგაზრდობა კომუნისტური იდეურობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის სულისკვეთებით.

ამის შესახებ ლაპარაკობდნენ ყრილობაზე თურქმენეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ი. შანყულიევა,** სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ს. კოტანჯიანი,** კომკავშირის სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვ. ილიუშინი,** კომკავშირის კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. პ. გრიცენკო,** ლიტვის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ს. ბალტრუნასი,** კომკავშირის როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ა. დეგრაუსოვი,** ყირგიზეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ა. რისმენდიევი,** უფის მოტორსაშენებლო გაერთიანების კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ვ. ა. მურავიოვი,** კომკავშირის კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვ. კუიმოვი,** ქ. გომელის № 17 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი **ნ. ი. მაკარეცკაია,** კომკავშირის ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. სოლოვიოვი,** კომკავშირის ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ი. პ. სავენკო.**

სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობამ 28 აპრილს მუშაობა დაამთავრა.

# საქართველოს სპორტკომიტეტში

საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ იმსჯელა გაზეთ „კომუნისტის" 1978 წლის 28 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული ავტორთა ჯგუფის სტატიის „ისეთი წესრიგი, ჩვენ რომ გვეკადრება" შესახებ და აღნიშნა, რომ ამ სტატიაში დასმულია უაღრესად აქტუალური საკითხი ჩვენს სტადიონებზე სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების დროს სანიმუშო წესრიგის დამყარების შესახებ. განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ ნიმუშო წესრიგისთვის ბრძოლაში უნდა მონაწილეობდეს თითოეული გულშემატკივარი, სპორტული ბაზის ყველა მუშაკი თუ სპორტსმენი, მათ აქტიურად უნდა იბრძოლონ პრესტიჟისთვის, რომელსაც ყველა ერთად უნდა დავეუფლოთ, ხოლო „სარეველას", ერთეულ ვაი-გულშემატკივრებს, უპატიოსნობას გზა უნდა დავუხშოთ".

კოლეგიამ მოიწონა გაზეთ „კომუნისტის" 1978 წლის 28 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული სტატია და აზრი იმის შესახებ, რომ შეიქმნას მუდმივმოქმედი ჟიური, რომელიც ყოველი საფეხბურთო მატჩის შემდეგ პირუთვნელად, მთელი სიმკაცრით შეაფასებს მაყურებელთა, ფეხბურთელთა და სტადიონის მუშაკთა მოქმედებას, საჭიროების შემთხვევაში — მსაჯის მოქმედებასაც.

კოლეგიამ გადაწყვიტა შექმნას მუდმივმოქმედი ჟიური შემდეგი შემადგენლობით:

ნ. გაფრინდაშვილი — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში; ლ. თედიაშვილი — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭიდაობაში; მ. სანეევი — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მძლეოსნობაში; ო. ღუდუშაური — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ლენინური პრემიის ლაურეატი; ვ. ოქუჯავა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; მ. ბერძენიშვილი — მოქანდაკე, სსრ კავშირის სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი; ნ. ჯანბერიძე — პროფესორი, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე; გ. ყანჩელი — კომპოზიტორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; ზ. ანჯაფარიძე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი; რ. ჩხიკვაძე — რესპუბლიკის სახალხო არტისტი; ჭ. ამირეჯიბი — მწერალი; ნ. ქვანია — თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე; რ. ჩიმიშკიანი — ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ძალოსნობაში; გ. ჯეჯელავა — სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე; კ. ყრუაშვილი — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში; ა. გუკასიანი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი; ვ. გოროდავკა — სოციალისტური შრომის გმირი; ც. სვანიძე — პროფესორი, თბილისის სპორტკომიტეტის ფეხბურთის მოყვარულთა კლუბის თავმჯდომარე.

მუდმივმოქმედი ჟიურის აზრი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით პერიოდულად ეცნობება რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო ფენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატაკი — საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის დელეგატებს

## ზრუნვის პასუხად — მხოლოდ წარჩინებული სწავლა, ახალ-ახალი დიდი წარმატებანი

•

**ამ დღეებში** საბჭოთა ადამიანების გულისყური კრემლის ყრილობათა სასახლისკენ იყო მიპყრობილი, სადაც მიმდინარეობდა სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობა. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, კომკავშირელები და ახალგაზრდები გულდასმით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ლ. ი. ბრეჟნევის** სიტყვას, რომელიც მან ამ დიდ ფორუმზე წარმოთქვა.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ დაუვიწყარ დღეებში რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მუშაკებმა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ვეტერანებმა გულითადი შეხვედრა მოუწყეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარჩინებულ სტუდენტებს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დ. პერტენავამ.

სტუმრებს მიესალმნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ჯულელი, ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორი, მწერალი გ. ფანჯიკიძე და სხვები.

სიტყვებით გამოვიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები: პედაგოგიური ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ა. აბულაძე და მ. ინაშვილი. შემდეგ მეორე კურსის ფრიადოსანმა სტუდენტმა, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების გუნდის წევრმა, მარინე ღლაღუტაშვილმა წარჩინებულ სტუდენტთა სახელით სპორტკომიტეტს უპატაკა, რომ ამჟამად ინსტიტუტი 123 ფრიადოსან და 175 ოთხოსან სტუდენტს ითვლის. მათგან 58 საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სხვადასხვა ნაკრები გუნდების წევრია. მ. ღლაღუტაშვილმა შეკრებილებს აღუთქვა, რომ სტუდენტები, კომკავშირელები და სპორტსმენები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამობრივი ზრუნვის პასუხად ძალასა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა კიდევ უფრო აიმაღლონ თეორიული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და სპორტული ოსტატობის დონე.

შეხვედრის მონაწილეებმა პატაკის მთლიანი ტექსტი გაუგზავნეს სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობას.

წარჩინებულ სტუდენტთა დიდ ჯგუფს გადაეცა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამკერდე ნიშნები „სწავლაში წარჩინებისთვის" და გამოეცხადათ საქართველოს სპორტკომიტეტის მადლობა.

ბოლოს სიტყვით გამოვიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი, დოცენტი ა. მელია. მან მადლობა გადაუხადა სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობას გულთბილი მიღებისთვის და განაცხადა, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყველაფერს იღონებენ იმისთვის, რომ აღზარდონ მეცნიერების საფუძვლებს დაუფლებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც კიდევ უფრო ამრავლებენ ქართული სპორტის სახელოვან ტრადიციებს.



მაია ჩიბურდანიძე



ნინო გურიელი

### პირველია პრეტენდენტი

ბუდაპეშტის (უნგრეთის) ქალთა საერთაშორისო ტურნირის ფინიშზე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტის, სსრ კავშირის ჩემპიონის მ. ჩიბურდანიძისა და უნგრეთის ჩემპიონის ჟ. ვერეცის სპორტული დუელი I ადგილისთვის საბჭოთა დიდოსტატის გამარჯვებით დასრულდა.

დასკვნით, XIII ტურში მაიამ მოუგო საერთაშორისო ოსტატ მურეშანს (რუმინეთი) და 11 ქულით I ადგილი დაიკავა. ვერეცი 10,5 ქულით II ადგილზე გავიდა.

### ქართველ მოჭადრაკეთა წარმატება საერთაშორისო სარბიელზე

### გამარჯვება ვადამდე

ბიდგოშჩის (პოლონეთი) ქალთა საერთაშორისო ტურნირში ვადამდე გაიმარჯვა თბილისელმა ოსტატმა ნ. გურიელმა. მას ვეღარავინ დაეწევა: ბოლოსწინა, XV ტურის წინ ნინოს 11 ქულა აქვს. უახლოესი მეტოქე — ჩეხოსლოვაკიელი ოსტატი ს. ვოკრჟალოვა მას ქულანახევრით ჩამორჩება.

# ჰოი...

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე შედგა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში თბილისის „დინამოსა" და ოდესის „ჩერნომორეცს" შორის.

თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 2:1.

ამავე გუნდების დუბლიორთა შემადგენლობების შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 5:0.

# რეგბი

# თბილისის „ლოკომოტივი" წინ მიიწევს

**ფერგანაში** გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურის შეხვედრები, რომლითაც დამთავრდა ასპარეზობის პირველი ეტაპი. ახლა უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის ერთთვიანი არდადეგები იწყება, რაც გამოწვეულია სსრ კავშირის ნაკრების ევროპის პირველობაში („ბ" ჯგუფი) მონაწილეობით. როგორც ცნობილია, 7 მაისს ჩვენი ქვეყნის ნაკრები ხარკოვში ითამაშებს გფრ-ის ნაკრებთან, ხოლო შემდეგ, 14 და 21 მაისს გადასავლელ შეხვედრებს გამართავს იუგოსლაველებთან.

რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის წლევანდელი დებიულებით პირველი ტურის შემდეგ შეირჩევა ექვსი უძლიერესი კოლექტივი. ისინი გაითამაშებენ მედლებს.

ხუთშაბათს ფერგანაში გამართული შეხვედრები ასე დამთავრდა: „სლავა" — „ფილი" (ორივე — მოსკოვი) — 24:6, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „პრიმორეცი" (ლენინგრადი) — 26:6, „ელვა" (თბილისი) — „ავტომობილისტი" (მოსკოვი) — 6:0, სსა (მოსკოვის ოლქი) — „ავიატორი" (კიევი) — 14:3, „ლოკომოტივი" (თბილისი) — „პოლიტეხნიკი" (კიევი) — 28:10.

4 ტურის შემდეგ საუკეთესო ბომბარდირთა სათავეშია შარშანდელი „სნაიპერი" მ. გრაუდანი, რომლის ანგარიშზეა 58 ქულა.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სლავა" | 4 | 4 | 0 | 0 | 90—24 | 8 |
| „ლოკ." თბ. | 4 | 3 | 1 | 0 | 69—33 | 7 |
| „ავიატორი" | 4 | 3 | 0 | 1 | 73—17 | 6 |
| „ლოკ." მ. | 4 | 3 | 0 | 1 | 69—21 | 6 |
| „ფილი" | 4 | 2 | 0 | 2 | 61—63 | 4 |
| სსა | 4 | 2 | 0 | 2 | 50—54 | 4 |
| „ელვა" | 4 | 1 | 1 | 2 | 19—48 | 3 |
| „პოლიტეხნიკი" | 4 | 1 | 0 | 3 | 40—97 | 2 |
| „ავტომობ". | 4 | 0 | 0 | 4 | 21—50 | 0 |
| „პრიმორ". | 4 | 0 | 0 | 4 | 19—104 | 0 |

## „განთიადის" ცენტრალური საბჭოს III პლენუმი

# სპარტაკიადისთვის, ოლიმპიური მზადების ნიშნით

რაც უფრო ახლოვდება მოსკოვის ოლიმპიადა, მით მეტი პასუხისმგებლობით დგება ამ თამაშებისთვის მზადების საკითხი ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების წინაშე.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებათა საბჭოების უპირველესი ამოცანაა მუშაობა ისე წარმართონ, რომ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში მონაწილეობისთვის საქართველოს ნაკრებს მეტი და ხარისხიანი შევსება მისცენ და, აქედან გამომდინარე, ოლიმპიადისთვის ქვეყნის გუნდებიც სათანადოდ მოამარაგონ.

ოლიმპიური რეზერვის მომზადების საქმეში „განთიადის" ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების საკითხს მიეძღვნა ამ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს III პლენუმი. მოხსენებით გამოვიდა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ბაჟანოვი.**

კამათში მონაწილეობდნენ: „განთიადის" ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე **შ. რევიშვილი**, აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **ი. სანგულია**, თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის სპორტსკოლის დირექტორი **ა. კოტრიკაძე**, ზუგდიდის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ჭურღულია**, „განთიადის" ძიუდოისტთა უფროსი მწვრთნელი **ხ. წიკლაური**, ცურვის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სკოლის დირექტორი **ე. გასანოვა**, ცენტრალური საბჭოს ძალოსანთა უფროსი მწვრთნელი **შ. წერეთელი.**

პლენუმზე ითქვა, რომ „განთიადის" ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა უკვე მნიშვნელოვანი მუშაობა გაწიეს მოსწავლეთა XV საკავშირო, ქვეყნის ხალხთა VII სპარტაკიადებისა და მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად.

მოსკოვის ოლიმპიადისთვის რეზერვების მზადება ფაქტიურად მაშინ დაიწყო, როცა XXI ოლიმპიადაში ამ საზოგადოების სპორტსმენთა მონაწილეობის შედეგები შეჯამდა და ხარვეზების გამოსწორების გზები დაისახა.

ცენტრალური საბჭო მზადებას სამ ეტაპად განიხილავდა: II საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში მონაწილეობა, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში გამოსვლა და ოლიმპიურ თამაშებში, რაც შეიძლება მეტი ქულების მოგროვება.

ერთი ეტაპი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. ჩვენი ქვეყნის II ახალგაზრდულ თამაშებში განთიადელები საქართველოს სპორტული დელეგაციის შემადგენლობაში გაცილებით უკეთესად გამოვიდნენ, ვიდრე წინა ამგვარ ღონისძიებაში. თუ I თამაშებში „განთიადის" სპორტსმენებმა 2 მედალი მოიპოვეს, II თამაშებში 7 მედალი დაისაკუთრეს, ავჯერად რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში 33-ით მეტი სპორტსმენი ჰყავდათ. რესპუბლიკურ თამაშებში III-დან I ადგილზე გადაინაცვლეს.

— დღეისთვის ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების 6 კანდიდატი და ოლიმპიური რეზერვის გაცილებით მეტი წევრი გვყავს. მწვრთნელების შ. წერეთლის, გ. ზაუტაშვილის, პ. ჯიოშვილის, ვ. მარშანიას, დ. გუსკვას, ო. შოშიტაშვილის და სხვათა კარგი მუშაობის შედეგია, რომ ბ. გოგიჩაშვილი, ი. ომელჩენკო, გ. არზუმანოვი, მ. ცოტაძე, ს. შალიბაშვილი, ა. სივოქელეზოვი ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებად ითვლებიან, ხოლო ვ. გელაშვილი, ზ. კუჩუბერია, ნ. როსტომაშვილი, ნ. პაიჭაძე, ი. გუტიაკულოვა, ზ. პაპიძე, თ. მარშანაშვილი, მ. თაქთაქიშვილი და სხვები — უახლოეს რეზერვს წარმოადგენ, — ამბობს მომხსენებელი.

ბაჟანოვმა მათ გარდა კიდევ 10 სპორტსმენი დაასახელა, რომლებიც ოლიმპიური რეზერვის შემადგენლობაში არიან.

პლენუმზე ითქვა, რომ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და მოსკოვის ოლიმპიადისთვის განსაკუთრებით კარგად ემზადებიან თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, ძიუდოისტები, მოცურავეები, ტანმოვარჯიშეები, ძალოსნები, ველოსიპედისტები...

ოლიმპიადისთვის უკეთესად შესახვედრად ცენტრალურმა საბჭომ თავის კოლექტივებს მიზნად დაუსახა წლეულს აღზარდონ 4 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, გაისად — ხუთი, ოლიმპიადის წელს — ცხრა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ოლიმპიური მომზადების საყრდენი პუნქტების, როგორც რესპუბლიკისა და ქვეყნის ნაკრები გუნდებისთვის რეზერვების მომზადების მთავარი ბაზის შექმნას, ასეთი საყრდენი პუნქტები უკვე მუშაობენ ტანვარჯიშში, სადაც 242 კაცის დაოსტატებას 24 მწვრთნელი ემსახურება, ცურვაში 1200-მდე მოზარდი მეცადინეობს, ძიუდოში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში 690-ზე მეტ სპორტსმენს 33 მწვრთნელი ავარჯიშებს. მარტო ცხინვალის კრივის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლაში 220-ზე მეტი სპორტსმენია გაერთიანებული...

ამ საყრდენ პუნქტებსა და სპორტსკოლებს მჭიდრო კავშირი აქვთ საშუალო სკოლებთან. მაგალითად, ტანვარჯიშის ოლიმპიური რეზერვების სკოლას თბილისის 106-ე საშუალო სკოლაში 8 სპეციალური კლასი აქვს გახსნილი. ცურვის ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებულმა სკოლებმა ასეთივე სპეცკლასები გახსნეს რუსთავსა და ბათუმში.

„განთიადის" ოთხი სპეციალიზებული ბავშვთა და მოზარდა და სამი კომპლექსური სპორტსკოლა, აგრეთვე, შვიდი ოლიმპიური მომზადების საყრდენი პუნქტი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა. ისინი კარგად საქმიანობენ თბილისში, გორში, ცხინვალში, სოხუმში (თავისუფალი ჭიდაობა), რუსთავში.

მაგრამ პლენუმზე ისიც ითქვა, რომ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისის საბჭოები ცუდად ემზადებოდნენ II საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის, ცენტრალური საბჭო კი ვერ უზრუნველყოფდა მათ კონტროლს. ეს იყო მთავარი მიზეზი, რომ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის „განთიადის" არცერთ სპორტსმენს საკავშირო თამაშებში მონაწილეობა არ მიუღია.

სერიოზული ხარვეზებით ხასიათდებოდა ბავშვთა სპორტსკოლებისა და ოლიმპიური მომზადების საყრდენი პუნქტის კლასიკური ჭიდაობის განყოფილების და სპორტული ტანვარჯიშის სკოლის საქმიანობა. იმის გამო, რომ სასწავლო-საწვრთნელი პროცესის დაგეგმვაში შეცდომები დაუშვეს, არ სრულდებოდა ინდივიდუალური გეგმები, ორივე სახეობის წარმომადგენელთა შედეგები დაქვეითდა.

პლენუმზე ითქვა, რომ აჭარის საოლქო საბჭოში რეზერვთან ცუდად მუშაობენ ძალოსნობაში, ველოსპორტში, ჭიდაობის ყველა სახეობაში, ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში, წყალში ხტომაში, აფხაზეთში ჩამორჩებიან ცურვაში, წყალში ხტომაში, ნიჩბოსნობაში, ველოსპორტსა და მძლეოსნობაში. ქუთაისის საბჭომაც დაკარგა ტრადიციები — ამ ქალაქიდან ძალიან იკლო რეზერვმა რესპუბლიკის ნაკრებში.

ყველაფერი ეს გამოწვეულია მწვრთნელების მუშაობის ფორმალურობით, გეგმების შეუსრულებლობისადმი გულგრილი დამოკიდებულებით, ყოველდღიურად ორჯერად ვარჯიშზე არ გადასულა უმეტესობა მწვრთნელებისა, რომლებსაც ამის საშუალება აქვთ. ზოგიერთი აღმზრდელი მოვალეობას პირნათლად არ იხდის. მაგალითად, ბათუმელი მწვრთნელები ცურვაში კოლუაშვილი და სადიანოვა ყოველთვიურად გასამრჯელოს 150-150 საათის მეცადინეობის ჩატარებისთვის იღებენ, სინამდვილეში 100-100 საათს მუშაობენ...

კამათში გამოსულებმა ილაპარაკეს მოზარდებისთვის შეჯიბრების უკმარობაზე, სკოლების ურთიერთკავშირის განმტკიცების აუცილებლობაზე, იმაზე, რომ ფიზკულტურის კოლექტივებში ყურადღება არ ექცევა სასწავლო-სპორტულ მუშაობას რაიონულ, საქალაქო ტურნირებში ფაქტიურად მოუმზადებელი გუნდები გამოყავთ, რის გამო ნიჭიერ ათლეტთა შერჩევა არ ხერხდება: ჯერ კიდევ ადგილი აქვს „ნასესხები" სპორტსმენებით ფონს გასვლის მცდელობას, მიწერებს, იერიშობანას.

შეკრებილებმა მოისმინეს, აგრეთვე, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო მუშაობის განყოფილების გამგის **ტ. კიკნაველიძის** ინფორმაცია „ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1-დან მე-3 პლენუმამდე ჩატარებული მუშაობის შესახებ".

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს წარმომადგენელი **ნ. ცვეტკოვი**, რომელმაც „განთიადის" ცენტრალურ საბჭოს სამართლიანად უსაყვედურა ოლიმპიადისთვის მზადების საქმეში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისთვის.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ **ი. ბოჭორიძემ.**

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

---

**ველოსპორტი**

# სტარტი რეკორდით

**თბილისის** ცენტრალურმა ველოდრომმა სეზონი გახსნა. აქ მიმდინარეობს საქართველოს პირველობა მოზარდთა სამი ასაკისთვის.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა ჭაბუკთა საკავშირო ნაკრების წევრის, დინამოელ ემზარ გელაშვილის მიმართ ერთგვარი დათმობა დაუშვეს. იგი 1962 წელსაა დაბადებული, მაგრამ იმდენად ძლიერია, რომ უმცროს ასაკში მის ასპარეზობას ინტერესი არ ექნებოდა, ამიტომ ნება დართეს უფროსებთან ერთად ეცადა ძალები. ემზარი აქაც ყველას აშკარად სჯობდა.

გელაშვილმა (მწვრთნელი ა. სტაშევსკი) პირველ დღესვე ორჯერ ისახელა თავი: ჯერ სპრინტერულ რბოლაში, როცა უფროსი ასაკის ჭაბუკთა შეჯიბრებაში ყველა ჩამოიტოვა და პირველობა მოიგო (II ადგილზე გავიდა ბურევესტნიკელი კ. იოვიძე, III — სპარტაკელი გ. ოგრბა), მერე 200 მეტრზე სვლით ჭაბუკთა რესპუბლიკურ რეკორდზე მიიტანა იერიში და მიზანსაც მიაღწია — შესანიშნავი დრო 11,2 წამი აჩვენა, რაც 0,01 წამით აღემატება თბილისელი ვ. ოვსეპიანის მიერ 1973 წელს დამყარებულ მოზარდთა საკავშირო და რესპუბლიკურ რეკორდს. გელაშვილი გახდა საქართველოს რეკორდსმენი, სსრ კავშირის რეკორდი კი არ ჩაეთვლება, რადგან დრო ხელის წამმზომებით აღრიცხეს.

ემზარმა იმ დღეს ოთხდღიანი რბოლის I ეტაპზეც სცადა ძალა. (შეჯიბრებაში 1960-61 წლებში დაბადებულები მონაწილეობენ). სპორტსმენებს 40 წრე ოთხი საშუალედო ფინიშით უნდა გაევლოთ. გელაშვილმა ყველაზე მეტი — 9 ქულა მოაგროვა, მაგრამ მესამე საშუალედო ფინიშზე ხუთკაციანმა ჯგუფმა ძირითად მასას, სადაც ემზარიც იყო, მთელი წრით მოუგო. რა თქმა უნდა, უპირატესობაც ამ ჯგუფის წევრებს მიეკუთვნათ. ამ ტაქტიკური შეცდომის გამო გელაშვილი VI ადგილზე აღმოჩნდა, რაც საბოლოო ჯამში მხოლოდ 10 ქულას იძლევა.

ამ ეტაპზე პირველობა ერგო ი. პოპოვს („დინამო"). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ი. ზიმენკოვი („შრომითი რეზერვები") და ს. გლაზოვი („განთიადი").

გელაშვილმა სტარტის შეცდომები კარგად გაითვალისწინა და მეორე დღეს რევანში აიღო — II ეტაპზე ოთხი საშუალედო ფინიშის ჯამში 12 ქულა მოაგროვა, 4 ქულით მეტი, ვიდრე გ. ჩაფიძემ („განთიადი") და ი. პოპოვმა, მაგრამ ორი დღის ჯამში 41 ქულით მაინც პოპოვი ლიდერობს, ემზარს 34 ქულა აქვს.

1000 მეტრზე ადგილიდან გიტში ემზარი საშუალო ასაკში გამოვიდა და გაიმარჯვა 1.13,3 (მომდევნო ადგილები ერგოთ ზიმენკოვსა — 1.15,6 და „შრომითი რეზერვების" გუნდის წევრს კ. აბულაძეს — 1.16,4). მისი შედეგის გაუმჯობესება ვერც უფროსი ასაკის ველოსიპედისტებმა შეძლეს. აქ ადგილები ასე განაწილდა: კ. იოვიძე — 1.13,3, ე. სივოქელეზოვი — 1.14,1 და ნ. კრასავცევი (ორივე — „განთიადი") — 1.16,1.



უმცროს ასაკში კარგი გუნდი ჰყავს „განთიადს". მისმა ტრიომ სპრინტში სამივე საპრიზო ადგილი მოიგო.

სხვა ტექნიკური შედეგები:

**საშუალო ასაკი. სპრინტი.** რ. რთველიაშვილი („განთიადი"), კ. აბულაძე, გ. ჯინჭარაძე (ორივე — „შრომითი რეზერვები"); **4 კმ გამოდევნებით გუნდური რბოლა.** „შრომითი რეზერვები" (ზიმენკოვი, ა. ბოიკო, დ. ნაზაროვი, შ. გაბოძე) — 5.05,05, „განთიადი" — 5.09,6, „დინამო" — 5.19,3. **უფროსი ასაკი. 4 კმ გამოდევნებით გუნდური რბოლა.** „დინამო" (ა. ჩკალოვი, ვ. მანუშაროვი, ვ. იუშკო, ვ. პაიჭაძე) — 5.15,2, „განთიადი" — 5.29,8, „სპარტაკი" — 5.31,8.

**ქ. ჯიმშელაძე.**

* * *

**სურათებზე:** ე. გელაშვილი დისტანციაზე; გამოდევნებით გუნდური რბოლის მომენტი.




---

## საჭადრაკო მოამბე

**სოხუმის** პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ათ წელზე მეტია მუშაობს რუსული შაშის შემსწავლელი წრე ოსტატობის კანდიდატ გ. არუთინოვის ხელმძღვანელობით. წრეში გაერთიანებულია 35 ბავშვი. მომზადდა 7 პირველი, 12 მეორე და 20 მესამე თანრიგოსანი მოშაშე.

ამას წინათ სასახლეში ჩატარდა სოხუმის სკოლების მოშაშეთა პირად-გუნდური პირველობა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა მე-9 სკოლის გუნდმა. ოქტომბრელთა შორის პირველები იყვნენ მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეები. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ვ. სულიკაშვილმა.

**ნ. მიქაშავიძე.**
(ჩვენი კორ.).

---

# ზუგდიდის ზონალური...

**ზუგდიდის** დოსააფის საქალაქო კომიტეტმა ადგილობრივ სასროლეთზე ჩაატარა დასავლეთის რაიონების ზონალური პირად-გუნდური პირველობა ტყვიის სროლაში. ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ ქალაქების — ზუგდიდისა და ფოთის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს დოსააფის რაიონული კომიტეტების ნაკრები გუნდები. პროგრამაში იყო მცირეკალიბრიანი შაშხანისა და პისტოლეტის სროლა.

გამარჯვება მოიპოვა ზუგდიდის რაიონის ნაკრებმა. II ადგილზეა ქ. ზუგდიდის გუნდი, III — ხობელი სპორტსმენები.

პირად შეჯიბრებაში იმარჯვეს: მცირეკალიბრიანი შაშხანით — რ. გიგანმა, პისტოლეტით — გ. ჭანტურიამ (ორივე — ზუგდიდის რაიონი).

**გ. ალშიბაია.**

---

## ინსტიტუტის მუზეუმი

კალინინის სახელობის ტაჯიკეთის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში შეიქმნა სპორტული დიდებისა და ფიზკულტურის ისტორიის მუზეუმი. ამ სასწავლებლის პედაგოგები და სტუდენტები რამდენიმე წლის განმავლობაში კრებდნენ მასალას რესპუბლიკაში სპორტის განვითარების, პირველი შეჯიბრებების, ჩემპიონატებისა და მათი სპორტული ოსტატობის ზრდის შესახებ.

მრავალი ფოტო, ფიზკულტურული მოძრაობის ვეტერანების მოგონებათა ჩანაწერი, საგაზეთო ინფორმაცია საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში ტაჯიკ სპორტსმენთა მიერ მიღწეულ დიდ წარმატებებზე მეტყველებს. საინტერესო მასალები მსოფლიო რეკორდსმენებსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორებზე — ზ. რუსტამოვას, ი. ლობანოვსა და ს. რახიმოვზე მოგვითხრობს.

ცენტრალურ სტენდზე წარმოდგენილია ტაჯიკეთის სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელშიც თვალნათლივ ჩანს სახელმწიფოს ზრუნვა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე.

ინსტიტუტის მუზეუმი ერთგვარი სასწავლო დაწესებულებაა. სტუდენტები იქ რესპუბლიკის ფიზკულტურული მოძრაობის ისტორიას სწავლობენ.

**ლ. ჩირგინი,**
საკდესის კორ.

დუშანბე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი პრიზიორი საქართველოდან

სევეროდონეცკში დამთავრდა ...ბჭოთა კავშირის პირად-გუნდუ... პირველობა თავისუფალ ჭიდა... 1961-1962 წლებში დაბა... ჭაბუკთა შორის.

...შეჯიბრებაში ჩვენი რესპუ... 12 ფალავანი ასპარეზობ... სამწუხაროდ, პრიზიორთა შო... მხოლოდ ორი მათგანი ვი... — კახა სხირტლაძე (65 კგ, ...წვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მ. ოსიყმაშვილი) და ლევან გოგიბედაშვილი (75 კგ, მწვრთნელი თ. გოგოლაძე), რომლებმაც ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ კახა წარსულში ცნობილი ფალავნის, მსოფლიოს ჩემპიონის გ. სხირტლაძის, ხოლო ლევანი — სსრ კავშირის ჩემპიონის ნ. გოგიბედაშვილის შვილია. საინტერესოა ისიც, რომ პრიზიორთა მამებისა და მწვრთნელების აღმზრდელი იყო ჭიდაობის ცნობილი სპეციალისტი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი შალვა ნოზაძე.

ქ. ბაქრაძე.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: კ. სხირტლაძე (მარცხნივ) და ლ. გოგიბედაშვილი.

## უმაღლესი ლიგა

26 და 27 აპრილს შედგა სსრ ...ბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის მატჩები.

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 3:0. ...ბურთი გაიტანა ხრაბროსტინმა, ... — იურინმა. ყველაფერი ეს მო... მატჩის მეორე ნახევარში.

„ქაირათი“ — „ფახტაქორი“ ...2. გამარჯვებულთაგან გოლები ...იტანეს კოჩუბინსკიმ, გოროხო...დაცკიმ და ლექსინმა, ხოლო დამარცხებულთაგან — ფიოდოროვმა და ჩურკინმა. ხუთივე ბურთი გატანილი იქნა მეორე ტაიმში.

ცსკა — „ლოკომოტივი“ 2:1. არმიელები დაწინაურდნენ თამაშის პირველ ნახევარში (პოგორელოვი, პეტროსიანი). საპასუხო ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანა გაზაევმა.

„შახტიორი“ — „დნეპრი“ 2:1.

„არარატი — „ნეფთჩი“ 1:0.

## სსრ კავშირის პირველობა

## საქართველოს ჩემპიონატი

...მართა რესპუბლიკის საფე...ბურთო ჩემპიონატის მორიგი ...ტურის შეხვედრები.

### I ჯგუფი

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:0. მსაჯი ...წურქავა (ფოთი).

...ანგარიში 75-ე წუთზე გახსნა გუ...ამ, შემდეგ კი ტკაჩენკომ მეორე ...ბურთი გაიტანა „სალხინოს“ კარში.

„ივერია“ (ხაშური) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:0. მსაჯი შ. ხა...მაშვილი (თბილისი).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 6:1. მსაჯი ა. პაიჭაძე (ხაშური).

სტუდენტთაგან ბურთები გაიტანეს ქავთარაძემ (2), აკოფიანმა, გუ...მა, გილაურმა და მებუკემ. ერთადერთი საპასუხო გოლი ეკუთვნის თი...ნიკაშვილს.

## საჯარიმო დაფა

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:1. მსაჯი ...გაგნიძე (თბილისი).

„იბერია“ (ქარელი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

„ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 0:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

„სპარტაკი“ (თბილისი) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:0. მსაჯი გ. შა...ბულიძე (თბილისი).

მატჩის ბედი გადაწყვიტა გოლმა, რომელიც 47-ე წუთზე გაიტანა ჩა...ტურიამ სტუმრების კარში.

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „კოლხეთი“ (ხობი) 4:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

მასპინძლებს სრული უპირატესობა ჰქონდათ მატჩის მსვლელობაში. ჯა...ნაძემ, ლომჯაძემ, მაღრაძემ და ...ძემ ოთხჯერ აიღეს მეტოქის კარი.

„მეშახტე“ (ტყიბული) — „ნადიკვარი“ (თელავი) 0:0. მსაჯი ა. ჭანაშვილი (თბილისი).

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა (...ჯანაშვილი) და მალე „ჩიხურას“ კარში 11-მეტრიანი დაინიშნა, რომელიც ვერ გამოიყენა აშაძემ. სტუმრებმა კარგად ისარგებლეს ამით და იხსნეს ქულა (თურმანიძე).

### II ჯგუფი

#### I ზონა

„გიგანტი“ (გამარჯვება) — „სამ...“ (აწყური) 1:1, „ცისკარი“ (სი...ღნაღი) — „თრიალეთი“ (წალკა) 2:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „...ული“ (ახალქალაქი) 3:0, „იო...“ (თიანეთი) — „არაგვი“ (მცხეთა) 4:1, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „განახლება“ (ადიგენი) 1:1, „გა...“ (თეთრი წყარო) — „სიონი“ (ბოლნისი) 1:2, ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:1, „ქართლი“ (გორის რაიონი) — „ფიჩხოვანი“ (ახმეტა) 6:3, „განთიადი“ (თბილისი) — „ვარძია“ (ასპინძა) 0:2.

#### II ზონა

„ავტომობილისტი“ (აბაშა) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 0:0, „სენაკი“ (ცხაკაია) — „ოჯალეში“ (ბანძა) 3:1, „ნარუჯა“ (მახარაძე) — „გიგანტი“ (ლაითური) 1:1, „მეშაქრე“ (აგარა) — „შახტიორი“ (ტყვარჩელი) 2:0, „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) — „მექალალდე“ (ზუგდიდი) 4:0, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „ავტომობილისტი“ (გაგრა) 8:1, „შუქურა“ (ქობულეთი) — „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) 2:0, „სულორი“ (ვანი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:1.

## გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

მდგომარეობა 29 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ ფ. | 9 | 7 | 1 | 1 | 25—5 | 15 |
| „მეშახტე“ | 9 | 6 | 2 | 1 | 13—5 | 14 |
| „მერცხალი“ | 9 | 4 | 5 | 0 | 13—4 | 13 |
| „კოლხეთი“ ხ. | 10 | 4 | 5 | 1 | 7—5 | 13 |
| „ამირანი“ | 11 | 4 | 4 | 3 | 8—12 | 12 |
| „მზიური“ | 9 | 4 | 3 | 2 | 13—7 | 11 |
| „მაღაროელი“ | 9 | 5 | 1 | 3 | 14—9 | 11 |
| „მეტალრ“. რ. | 9 | 4 | 3 | 2 | 12—7 | 11 |
| „ჩიხურა“ | 10 | 3 | 5 | 2 | 12—9 | 11 |
| ფიზკ. ინსტ. | 10 | 5 | 1 | 4 | 16—18 | 11 |
| „ივერია“ ხ. | 10 | 4 | 2 | 4 | 7—11 | 10 |
| „სპარტ“. ცხ. | 10 | 3 | 3 | 4 | 11—8 | 9 |
| „სპარტ.“ თბ. | 9 | 3 | 3 | 3 | 6—8 | 9 |
| ასკ თბ. | 12 | 1 | 7 | 4 | 8—13 | 9 |
| „ეგრისი“ | 11 | 2 | 5 | 4 | 6—13 | 9 |
| „სქური“ | 10 | 2 | 4 | 4 | 10—11 | 8 |
| „ენერგეტ“. | 10 | 3 | 2 | 5 | 9—13 | 8 |
| „დურუჯი“ | 9 | 3 | 2 | 4 | 6—16 | 8 |
| პოლ. ინსტ. | 10 | 3 | 1 | 6 | 12—13 | 7 |
| „ნადიკვარი“ | 10 | 1 | 5 | 4 | 8—11 | 7 |
| „სალხინო“ | 9 | 1 | 5 | 3 | 8—14 | 7 |
| „იბერია“ | 10 | 2 | 2 | 6 | 9—20 | 6 |
| „მეტალურ“. ზ. | 9 | 1 | 3 | 5 | 12—13 | 5 |

## სასჯელის ფურცელი

განვლილ ტურში მეტოქის შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გაძევებულია ხობის „კოლხეთის“ მოთამაშე დ. გეგენავა.

გაფრთხილებული არიან შემდეგი ფეხბურთელები: ე. სილაგავა და ბ. ჯორბენაძე („სქური“, წალენჯიხა), ი. გილაური და რ. გუჩუა (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ი. კეჩინი („გარისი“, თეთრი წყარო), მ. ჯაფარიძე („სიონი“, ბოლნისი).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამართველო.

## სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 29 აპრილი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე). დასაწყისი 12 ს. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა). 14 ს.

1980 წლის ოლიმპიური თამაშების პრობლემა უკვე აღარ აღელვებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს. საბჭოთა კავშირის დედაქალაქში გაჩაღებული სამზადისის გრანდიოზულმა მასშტაბებმა და ტემპებმა უკიდურეს სკეპტიკოსებსაც კი გამოაცალა ყოველგვარი ეჭვის საფუძველი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მზერა ახლა უფრო შორეული მომავლისკენ არის მიპყრობილი.

XXII ოლიმპიადის საკითხი საბოლოოდ გადაწყდა, რა მოხდება მერე?

როგორც ცნობილია, 1984 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციის საკონკურსო ვადა ამოიწურა 1977 წლის 31 ოქტომბრისთვის. სოკ-ის პრეზიდენტის კილანინის მაგიდაზე აღმოჩნდა ერთადერთი კონვერტი ქალაქ ლოს-ანჯელესის გერბითა და ემბლემით. ესე იგი კონკურსი არც შემდგარა. ახლა ამ ერთადერთი კანდიდატურის საკითხს გაარჩევს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი თავის სესიაზე, რომელიც მიმდინარე წლის მაისისთვისაა დანიშნული.

გასარჩევი, საკამათო და დასაზუსტებელი თითქოს არაფერი უნდა იყოს. არის ერთი ვაკანტური ადგილი და ამდენივე კანდიდატი. მაგრამ...

როცა ლოს-ანჯელესის მუნიციპალიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას იმის გამო, რომ 1984 წლის ოლიმპიადა სწორედ ამ ქალაქში ჩატარდება, იგი უმთავრესად ჯერდნობა ერთ გარემოებას — მთავარ კანიდიდატს კონკურენტი არ გააჩნია. ეს მართლაც ასეა, მაგრამ დროთა განმავლობაში ქალაქის მესვეურთა გეგმებს იმდენი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რომ სოკ-ი დაეჭვდა. ერთია მუნიციპალური საბჭოს სურვილი, მეორეა საზოგადოებრივი აზრი და ზოგიერთი გავლენიანი ორგანიზაციის გადაწყვეტილება — ყოველმხრივ შეუშალოს ხელი მუნიციპალიტეტის განზრახვას. სოკ-ს საკმაოდ მწარე გამოცდილება აქვს ამის თაობაზე და ახლა ცდილობს არ გაიმეოროს ძველი შეცდომა.

ბოლო დროს უთანხმოება ჩამოვარდა თვით მუნიციპალურ საბჭოში. ამას წინათ, ლოს-ანჯელესის რევიზორმა ა. რაინერმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ათენის სესიაზე გამგზავრების სანქციას არ მისცემს მუნიციპალური კომისიის სამ წევრს. მისი აზრით, ამ ტურნეს არავითარი კავშირი არ ექნება ოლიმპიურ თამაშებთან. ეს იქნება, — ამბობს რაინერი, — სასიამოვნო მოგზაურობა და ფულის უაზრო ხარჯვა. კომისიის წევრები კი, პირიქით, ამტკიცებენ, რომ იქ, სადაც ლოს-ანჯელესის კანდიდატურის საკითხი წყდება, მათი ყოფნა სავალდებულოა.

ამ „პიკანტურ“ მდგომარეობას ართულებს სხვა გარემოებაც. როგორც ცნობილია, ქალაქის ერთ-ერთი მთავარი სპორტული ბაზა, ცენტრალური სტადიონი „კოლიზეუმი“ სერიოზულ გადაკეთებას საჭიროებს. უკვე არსებობს რეკონსტრუქციის პროექტები, მაგრამ არსებული წესის თანახმად, „კოლიზეუმის“ მშენებლობის დაფინანსება უნდა მოხდეს ქალაქის ხაზინიდან, ამ ხაზინასთან კი რაინერს უშუალო კავშირი აქვს: მისი თანხმობის გარეშე ფული სალაროდან არ გაიცემა.

როგორც გაირკვა, რაინერსა და კომისიის წევრთა შორის დგას... შვიდნიშნა რიცხვი, უფრო ზუსტად კი რვა მილიონი დოლარი, რაც „კოლიზეუმის“ გენერალური დირექტორის ჯ. ჰარდის მტკიცებით სჭირდება სპორტული კომპლექსის რეკონსტრუქციას.

„კოლიზეუმი“, რომელიც 1984 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორთა აზრით, სპორტული ბრძოლების მთავარი ასპარეზი იქნება, საკმაოდ მოძველებული ობიექტია და მისი კაპიტალური შეკეთება 18 აუცილებელი პუნქტის გათვალისწინებას გულისხმობს. ესაა სარბენი ბილიკების საფარის მთლიანი განახლება და პრესის ახალი ლოჟის აშენება მთელი ჩრდილოეთის ტრიბუნის გასწვრივ, გასახდელების მოდერნიზება და მათი 300 ადგილით გაზრდა, სატელევიზიო მონიტორებისთვის საჭირო რკინა-ბეტონის სამაგრების ჩამოსხმა-დაყენება და მინდვრის მთლიანი შეკეთება, აგრეთვე, ავტომანქანების სადგომის, კვებისა და გათბობის ბლოკების განახლება... როგორც ხედავთ, საქმე თავზე საყრელია, რაინერის მხარდაჭერა კი აუცილებელი.

და მაინც, საბოლოო სიტყვა ამ და სხვა უფრო მნიშვნელოვან საკითხთა მოგვარებაში ეკუთვნის ქალაქის მერს ტ. ბრედლის, რომელიც ძირითადად ოლიმპიადის მომხრეთა ბანაკშია, მაგრამ ზოგიერთი პუნქტის მიმართ ორჭოფობას იჩენს. ასე მაგალითად, ბრედლის მიაჩნია, რომ სოკ-ის კითხვათა სიაზე პასუხის გაცემა მას ძალზე გაუჭირდება. ეს სია საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შემოიღო ოფიციალური გარანტიების მიღების მიზნით, რათა არ განმეორდეს „დენვერის ოლიმპიადის მწარე გაკვეთილი“. მაგრამ აქ ბევრი ისეთი საკითხია დასმული, რასაც ქალაქის მერი ფედერალურ მთავრობასთან შეთანხმების გარეშე ვერ გადაწყვეტს. მთავრობა კი, როგორც ცნობილია, ოლიმპიადის ორგანიზაციის საკითხებში არ ერევა.

# ვინ იქნება შემდეგი?

არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც თანაბრად აწუხებთ ოლიმპიადის მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც: მონრეალის მსგავსად, აქაც არ გაიფანტოს კაპიტალი ტყუილუბრალოდ. და თუ ეს მოხდა, თუ თამაშები მძიმე ტვირთად დააწვა ადგილობრივ მოსახლეობას, მაშინ მუნიციპალიტეტის მთელ შემადგენლობას მოუხდება გადადგომა. ასეთი პერსპექტივა კი, ქალაქის „მამებს“, ცხადია, ხელს არ აძლევთ.

სწორედ ამიტომ, თამაშების მოწყობის მომხრეებიც კი დაუფარავად ლაპარაკობენ სიძნელეებზე. ლოს-ანჯელესის თამაშები, მათი აზრით, იქნება ყველაზე ნაკლებად ტრანსპორტაბელური ოლიმპიადა, ვინაიდან ქალაქში ფაქტიურად არ არსებობს მიმოსვლის საზოგადოებრივი საშუალებები, როგორც ცნობილია, ლოს-ანჯელესი ვეებერთელა ტერიტორიაზეა გადაჭიმული და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობა სერიოზულად შეაფერხებს უცხოელ ტურისტთა მგზავრობას. თამაშების მომხრენი ამ სირთულის დაძლევის გზას მსუბუქ ავტომანქანათა პარკის გაზრდაში ხედავენ, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ რამდენიმე ათეული ათასი დამატებითი მანქანა საბოლოოდ შეზღუდავს მიმოსვლის საშუალებას ქალაქში, განსაკუთრებით კი მის ცენტრალურ მაგისტრალებზე.

მაგრამ ოლიმპიადის მომხრეთა ბანაკის რწმენა ურყევია, ოპტიმიზმი კი — გამოულევი. მათ უამრავი ვარიანტი და გეგმა აქვთ ყველა მეტ-ნაკლებად სავარაუდო სიძნელის დასაძლევად. ზოგჯერ მათი აზრი და ფანტაზია გაკვირვებასაც კი იწვევს თავისი სითამამითა და გაბედულებით. ოლიმპიადის მომხრეთა ამ უკიდურეს ჯგუფს სათავეში უდგას ბილ ტუმეი, მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, რომელიც ამჟამად ლოს-ანჯელესის მუნიციპალიტეტში მუშაობს. ტუმეიმ თავის გარშემო შემოიკრიბა ყველა ენთუზიასტი. ისინი ყოველნაირად ცდილობენ დაამკვიდრონ თავიანთი აზრი ქალაქში.

ტუმეის მომხრეთა მთავარი არგუმენტი ისაა, რომ ლოს-ანჯელესს გააჩნია სპორტული ბაზების საკმაოდ მჭიდრო და კომპაქტური ქსელი. მთავარი სტადიონი — „კოლიზეუმი“ ერთხელ უკვე იყო ოლიმპიადის მასპინძელი. მართალია, 1932 წლის შემდეგ ერთი ორად, თუ მეტით არა, გაიზარდა მოთხოვნები ოლიმპიადის მთავარი სტადიონის მიმართ, მაგრამ მცირედი რეკონსტრუქციის შემდეგ (დაუკვირდით ტუმეის მომხრეთა ენთუზიაზმს), იგი მზად იქნება თამაშების გახსნისთვის, დახურვისთვის და მძლეოსანთა შეჯიბრების ჩატარებისთვის. „ფორუმი“, სადაც დღესდღეობით ეწყობა კალათბურთელთა და ჰოკეისტთა მატჩები, 16 ათას მაყურებელს იტევს, რაც თამამად შეეფარდება ოლიმპიურ სტანდარტებს. ქალაქში სხვა ბევრი სტადიონი და სპორტული დარბაზი არსებობს — ასე რომ, ბაზების საკითხი ფაქტიურად მოგვარებულია, — თვლიან ისინი.

შემდეგ, ტუმეის ბანაკი ეხება „ოლიმპიური სოფლის“ პრობლემას და თამამად აცხადებს, რომ ქალაქის ორი უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი სავსებით დააკმაყოფილებს სოკ-ის წევრთა მოთხოვნებს. სამწუხაროდ, ტუმეისა და მის მომხრეებსავიწყდებათ, რომ „ერთიანი ოლიმპიური სოფელი“ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მთავარი მოთხოვნა იყო მუდამ და იგი არასდროს წასულა დათმობაზე ამ საკითხში.

სოკ-ის მიერ გამოშვებულ კითხვათა სიაში ისევე, როგორც მოყვარულ-მოცურავეთა საერთაშორისო კავშირი (ფინა), ოლიმპიადის ორგანიზატორ ქალაქისგან პირდაპირ მოითხოვს დახურული საცურაო აუზის მშენებლობას. ტუმეის ჯგუფის გაოცებას არა აქვს საზღვარი: განა შეიძლება მზიურ კალიფორნიას მოვთხოვოთ დახურული საცურაო აუზი ნაცვლად იმ შვიდი დიდებული საწყლოსნო ბაზისა, სადაც რეგულარულად მყარდება მსოფლიოს რეკორდები? ტუმეის ღრმა რწმენით, ოლიმპიური კომიტეტი გამჭრიახობას გამოიჩენს ამ საკითხის გადაწყვეტისას. იგი არამც და არამც არ დარჩება თავისი დოგმების ტყვეობაში და საღად, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე გადაწყვეტს ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემასაც.

პირდაპირ გასაკვირია, რაოდენ გულუბრყვილონი ჩანან ზოგჯერ ერთი იდეით შეპყრობილი და ანთებული ადამიანები. კიდევ უფრო გასაკვირია ეს, როცა საკითხი ეხება ისეთ ჭირვეულ ორგანიზაციას, როგორიც სოკ-ია, თავისი უამრავი ქვეკომიტეტებითა და კომისიებით. მაგრამ ერთი წუთით დავიჯეროთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი წავიდა ამ დათმობაზე. ბოლოს და ბოლოს ხომ შეიძლება მას სხვა გამოსავალი არ დარჩეს?...

მაგრამ თუ მოიხსნა ლოს-ანჯელესის კანდიდატურა, ესეც ხომ საკმაოდ რეალური, არც ისე დაუჯერებელი ვარიანტია? რა მოხდება მაშინ?

...მონრეალი! წამოცდა ამ ცოტა ხნის წინ 1976 წლის ოლიმპიური თამაშების მომწყობი ქალაქის მერს დრაპოს

სოკ-ი მისთვის ჩვეული სიჯიუტით ჩააფრინდა ამ მოულოდნელ წამოძახილს და ღრმად პატივცემულ ქალაქის თავს სთხოვა განმარტება.

დრაპოს საქვეყნოდ, ტელევიზიით მოუხდა გამოსვლა. მან საკმაოდ ბუნდოვნად განმარტა თავისი კანდიდატურა: არ მინდა ვინმემ იფიქროს, თითქოს ლოს-ანჯელესს არ ძალუძს უმასპინძლოს 1984 წლის ოლიმპიურ თამაშებს, მაგრამ თუ სოკ-ი მაისის სესიაზე რაიმე სხვა გადაწყვეტილებას მიიღებს, მონრეალის გარდა ვფიქრობ, სხვა ქალაქშიც წამოყოფენ თავს...

ეს, რა თქმა უნდა, არ იყო ის სიტყვები, რასაც სოკ-ი ოლიმპიადის მომწყობი ქალაქის მერისგან ელოდა. მაგრამ მონრეალის კანდიდატურასაც აქვს გარკვეული ლოგიკა. 1976 წლის ოლიმპიადის შემდეგ კანადის ამ ქალაქს შესწევს უნარი ერთხელ კიდევ სცადოს ბედი. ბოლოს და ბოლოს მთავარი სირთულეები მონრეალისთვის ხომ უკვე გადაჭრილია?

ნ. გუგუშვილი.



შარშან ველოსიპედისტ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა გ. ცარიოვამ და ვ. კუზნეცოვამ ტრეკზე რბოლაში ყველა ოქროს ჯილდო დაისაკუთრეს. ახლა ქალიშვილები „უმაღლეს დონეზე" ემზადებიან ახალი საზაფხულო სეზონისთვის, ახალი შეჯიბრებებისთვის.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიო ჩემპიონი ვ. კუზნეცოვა (წინა პლანზე) დარბაზში ვარჯიშისას; მწვრთნელის პულტთან დგას მსოფლიო ჩემპიონთა აღმზრდელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. კუზნეცოვი, მისგან მარცხნივ — მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ტრეკზე ველოსპრინტში გ. ცარიოვა.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი

### გაიცა მხოლოდ ორი საგზური

ლვოვში დამთავრდა ვაჟთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირი.

გადადებული პარტიების დამთავრებისას გამოვლინდა საზონათაშორისო ტურნირის პირველი საგზურის მფლობელი — ერევნელი რ. ვაჩანიანი. მან მოუგო ვ. ხმისლოვს (მოსკოვი) და შეჯიბრება 8,5 ქულით დაამთავრა.

ამ დღეს ვ. ტუკმაკოვმა (ოდესა) მოუგო სსრ კავშირის ჩემპიონ ბ. გულკოს (მოსკოვი), სსრ კავშირის მეორე ჩემპიონს ი. დორფმანს სძლია ა. ბელიავსკიმ (ორივე — ლვოვი), ე. გელერი (მოსკოვის ოლქი) დამარცხდა დორფმანთან და ვ. სავონთან (ხარკოვი). ყაიმზე შეთანხმდნენ გ. ცეშკოვსკი (ომსკი) — ვ. ბაგიროვი (ბაქო), გულკო — გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), ტუკმაკოვი — ო. რომანიშინი (ლვოვი).

დასკვნით, XV ტურში საზონათაშორისო ტურნირის მეორე საგზური მოიპოვა ი. ბალაშოვმა (მოსკოვი). მან სავონს მოუგო და 9 ქულა მოაგროვა.

დანარჩენი ორი საგზურის ბედი გაურკვეველია. საქმე ისაა, რომ კუზმინმა, რომანიშინმა და ცეშკოვსკიმ 8-8 ქულა დააგროვეს და III-V ადგილები გაიყვეს. მათ შორის დამატებითი მატჩ-ტურნირი მოეწყობა.

რომანიშინთან შეხვედრა ყაიმით დაამთავრა ბაგიროვმა, რომელმაც 7 ქულა მოაგროვა და სსრ კავშირის დიდოსტატის ნორმატივი მეორედ შეასრულა. უახლოეს ხანში ბაგიროვს უმაღლესი წოდება მიენიჭება და იგი აზერბაიჯანის პირველი დიდოსტატი იქნება.

ცეშკოვსკიმ მოუგო ბელიავსკის, ხოლო კუზმინი დაუზავდა ტუკმაკოვს.

### დღეს დასკვნითი შეხვედრებია

საქართველოს ვაჟთა 39-ე ჩემპიონატში, რომელიც თბილისში, ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს, გათამაშდა XV და XVI ტურების შეხვედრები.

XV ტურში დ. გედევანიშვილმა ალმაცლობით წარმართა პარტია ზ. სტურუასთან და გაიმარჯვა. ამით ისარგებლა გ. ზაიჩიკმა და ა. შახტახტინსკისთან (სოხუმი) მოგებით თავად გახდა ერთპიროვნული ლიდერი.

ე. უბილავამ სძლია გ. მაჭარაშვილს, ი. ჩუზმინმა — რ. ლომიძეს (გარდაბანი), მ. არჩვაძემ (სამტრედია) — ი. ცქიტიშვილს. ყაიმზე შეთანხმდნენ ლ. ნეურონოვი (ბათუმი) — ნ. ტერაშვილი (რუსთავი), ი. ჩიქოვანი — ნ. იოსელიანი და რ. დადიანი (სოხუმი) — გ. ციხელაშვილი.

გადაიდო დ. ჩაჩიბაია — რ. კაპანაძის პარტია.

XVI ტურში ზაიჩიკმა მოუგო ტერაშვილს, სტურუამ — იოსელიანს, ჩიქოვანმა — ლომიძეს და ციხელაშვილმა — უბილავას. დაზავდნენ კუზმინი — კაპანაძე, დადიანი — არჩვაძე.

სამი პარტია გადაიდო.

16 ტურის შემდეგ გ. ზაიჩიკს 14 ქულა აქვს, ზ. სტურუას — 13,5, დ. გედევანიშვილს — 13 ქულა და 1 გადადებული პარტია, ე. უბილავას — 11,5, ი. ჩიქოვანს — 11, ნ. იოსელიანს — 10.

დღეს შედგება დასკვნითი, XVII ტური.

**რ. თავარიანი,**
**ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

### თავგამოდება ესაა

სოჭი, 28 აპრილი (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა მოჭადრაკეთა შესარჩევი მატჩ-ტურნირი.

დასკვნით, XIII ტურში ა. ხარიტონოვმა (ივანოვო) მოუგო ლ. ეოლიანს (ერევანი), ლ. ფსახისმა (კრასნოიარსკი) — ზ. ლანკას (რიგა). დაზავდნენ ს. დოლმატოვი (მოსკოვი) — ბ. ტაბოროვი (კიევი).

შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა ზ. აზმაიფარაშვილი — ლ. იურტაევის (ფრუნზე) შეხვედრაში. ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ პარტია გადაიდო. მერე მეტოქეებმა კიდევ 8 საათი იბრძოლეს და 111-ე სვლაზე პარტია კვლავ გადაიდო. უპირატესობა აზმაიფარაშვილს აქვს. მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ამ პარტიაში შედეგს მოსკოვში მიუსჯის საგანგებო კომისია. თუ ზურაბს გამარჯვება მიაკუთვნეს, იგი V ადგილზე გამოვა.

შეჯიბრება ასე დამთავრდა: დოლმატოვი (მსოფლიო პირველობის საგზური მას ხვდა) — 10 ქულა, ტაბოროვი, ხარიტონოვი — 8-8, ფსახისი — 7,5, იურტაევი — 6 (1), აზმაიფარაშვილი — 5,5 (1), ეოლიანი, ლანკა — 5-5.

**ა. ბუსლაევი,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.**

### წარმატება იუგოსლავიაში

ლვოველმა ოსტატმა ა. მიხალჩიშინმა თავი ისახელა ვრნიაჩკა-ბანიას (იუგოსლავია) საერთაშორისო ტურნირში. მან I-II ადგილები გაიყო იუგოსლაველ ნიკოლაევთან.

## ფეხბურთი

**პარიზი.** უეფა-ს თასის პირველი ფინალური მატჩი საფრანგეთის „ბასტიასა" და ჰსვ „ეინდჰოვენს" (ჰოლანდია) შორის დამთავრდა ფრედ — 0:0.

მიმომხილველთა აზრით, ფრანგმა ფეხბურთელებმა თამაშის მაღალი კლასი აჩვენეს, ამიტომ განმეორებითი შეხვედრისთვის, რომელიც 9 მაისს უნდა შედგეს ჰოლანდიაში, მეტოქეებს თანაბარი შანსები აქვთ.

**ვარშავა.** პოლონეთისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი დამთავრდა პოლონელთა გამარჯვებით — 1:0. გოლი 67-ე წუთზე გაიტანა ლატომ. მატჩი იმსაჯა საბჭოთა არბიტრმა მ. სტუპარმა.

**მადრიდი.** ესპანელმა ფეხბურთელებმა პირველი 16 წუთის მანძილზე 2 ბურთი გაიტანეს მექსიკის ნაკრებთან შეხვედრაში და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. პირველი გოლი გაიტანა კინიმ, შემდეგ კი მექსიკელმა მცველმა რეიემ ბურთი საკუთარ კარში ჩაჰკრა კუთხური მიწოდების დროს. ესპანელებს ანგარიშის გაზრდის კიდევ რამდენიმე მომენტი ჰქონდათ.

**მონტევიდეო.** აქ სტუმრად იყვნენ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლები — არგენტინელები, რომლებმაც მარცხი განიცადეს ურუგვაის ნაკრებთან შეხვედრაში — 0:2. ბურთები გაიტანეს მანეირომ და მოკენამ.

**თეირანი.** ირანის გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის მზადების პროგრამით ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარა ბულგარეთის მეორე ნაკრებთან. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. ბურთები გაიტანეს ირანელმა პარვინმა და ბულგარელმა სოკოლოვმა.

## ჰოკეი

**პრაღაში** ჰოკეისტთა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში შვეცია — გფრ-ის მატჩის შესახებ ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით. პირველი დღის დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: სსრ კავშირი — აშშ 9:5, ჩეხოსლოვაკია — გდრ 8:0. მეორე დღეს კიდევ სამი შეხვედრა გაიმართა. აი, მათი შედეგებიც: სსრ კავშირი — გფრ 7:4, კანადა — ფინეთი 4:6, აშშ — შვეცია 1:5.

## წყალბურთი

### დამთავრდა კიდევ ერთი ეტაპი

**ბაქოსა** და კიევში დამთავრდა წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტური.

ბაქოში თბილისის დინამოელთა გამარჯვებაზე ტაშკენტის „მეხნატთან" (7:5) უკვე ვიტყობინებოდით. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „მოსკვიჩი" (მოსკოვი) — „დინამო" (ლვოვი) 6:6, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 7:8.

კიევში ბოლო დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი — „დინამო" (მოსკოვი) 6:5, „დინამო" (ალმაათა) — სკიფი (მინსკი) 4:2, „დინამო" (კიევი) — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) 7:6.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა II წრის

I ტურის შემდეგ

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსფ ცსკ | 12 | 3 | 1 | 87—50 | 27 |
| „დინ." მოს. | 10 | 4 | 2 | 87—72 | 24 |
| უნივერსიტ. | 8 | 7 | 1 | 95—71 | 23 |
| „დინ." ა.-ა. | 7 | 7 | 2 | 81—75 | 21 |
| „დინამო" კ. | 5 | 7 | 4 | 85—79 | 17 |
| „მოსკვიჩი" | 3 | 8 | 5 | 70—69 | 14 |
| „დინ." თბ. | 5 | 4 | 7 | 86—89 | 14 |
| „მეხნატი" | 4 | 6 | 6 | 83—93 | 14 |
| კწფ ბაქო | 4 | 5 | 7 | 87—87 | 13 |
| „დინ." ლ. | 4 | 5 | 7 | 68—91 | 13 |
| „ლოკომოტივი" | 3 | 3 | 10 | 77—94 | 9 |
| სკიფი | 1 | 1 | 14 | 78—114 | 3 |

## ხელბურთი

**ზაპოროჟიეში** გრძელდება ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ტურის თამაშები.

თბილისის „ბურევესტნიკი" მეოთხე და მეხუთე ტურის მატჩებში დამარცხდა ცსკას-თან და მოსკოვის „კუნცევოსთან" შესაბამისად 16:39 და 20:24.

ამ ტურების დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) 18:19, საავიაციო ინსტიტუტი — „კუნცევო" 29:22, ასკ (ბაქო) — ასკ (ლვოვი) — 25:39, ასკ (ბაქო) — „გრანიტასი" (კაუნასი) 23:24, ცსკა — „გრანიტასი" 23:2[illegible], „ცელტნიექსი" (რიგა) — ინდუსტრიული ინსტიტუტი 17:2[illegible], „ცელტნიექსი" — ასკ (კიევი) 21:24, ასკ (ლვოვი) — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 19:20, ასკ (მინსკი) — ასკ (კიევი) 26:28, ასკ (მინსკი) — „ალუმინსტროი" 25:25.

ამრიგად, ოცი ტურის შემდეგ საავიაციო ინსტიტუტის გუნდს 39 ქულა აქვს. II ადგილზეა ცსკა — 38 ქულა, III — ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი — 3[illegible] ქულა. თბილისის „ბურევესტნიკს" 15 ქულა აქვს და ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფება.

## კალათბურთი

ვილნიუსში კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის დასკვნითი ეტაპის ბოლო დღეს გაირკვა ბრინჯაოს პრიზიორი. ეს გახლავთ კაუნასის „ჟალგირისი", რომელმაც დაამარცხა თბილისის „დინამო" 105:103 (52:60). სსრ კავშირის ჩემპიონმა — ცსკამ მოუგო ლენინგრადის „სპარტაკს" 120:101 (73:53).

### ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 30 | 4 | 3787—3186 | 64 |
| „სპარტ." | 21 | 13 | 3255—3117 | 55 |
| „ჟალგირ". | 17 | 17 | 3382—3495 | 51 |
| „დინ". თბ. | 17 | 17 | 3312—3421 | 51 |

### „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს" მეთექვსმეტე ტირაჟისა, რომელიც მოსკოვში 22 აპრილს მოეწყო.

**პირველი:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 225, სამისთვის — 6.

**მეორე:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება აქაც 5000 მანეთია, ოთხისთვის — 176, სამისთვის — 7.

მოგებული თანხა გაიცემა 1 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით.

## კილინგის ოცნება და იმედები

დასავლეთგერმანელი მძლეოსანის, სიმაღლეზე მხტომელი ვ. კილინგის პირადი რეკორდი 228 სანტიმეტრია. ოლიმპიადა-80-ში იგი უფრო დიდი სიმაღლის დაძლევაზე ოცნებობს.

კილინგის სახელი სპორტულ სამყაროში ფართოდ მხოლოდ შარშან გახდა ცნობილი. სიმაღლეზე ხტომაში კი იგი ჯერ კიდევ 1968 წელს გაიტაცა. „მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში, ოლიმპიური ჩემპიონის, ამერიკელი სპორტსმენის დიკ ფოსბიურის ნახტომმა ბევრი ბიჭუნა მოიყვანა ალტაცებაში", — იხსენებს კილინგი.

მომავალი აგრონომი, 25 წლის ბონელი სტუდენტი (სიმაღლე — 186 სმ) საერთაშორისო სარბიელზე პირველად 1975 წელს დურხემში აფრიკა-აშშ-გფრ-ის მატჩში გამოვიდა. კილინგმა მონრეალის ოლიმპიადაშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ დიდი ტურნირის ატმოსფერომ უარყოფითად იმოქმედა მასზე: ზედმეტი მღელვარების გამო საკვალიფიკაციო ნორმები ვერ შეასრულა.

ვოლფგანგმა კარგად დაიწყო წლევანდელი სეზონი. დიუსელდორფში მან გაიმეორა ზაფხულში ნაჩვენები თავისი საუკეთესო შედეგი (223 სმ), კოსფორდში გფრ — დიდი ბრიტანეთის მატჩის დროს 227 სმ სიმაღლე დაძლია, ხოლო ცოტა მოგვიანებით — 228 სმ.

ყველას ახსოვს ახლახან მილანში ევროპის ჩემპიონატზე დარბაზებში კილინგისა და ბაილ'შმიდტის ბრძოლა იაშჩენკოსთან. „უნდა ითქვას, რომ ბრძოლა, როგორც ასეთი, არ გამოვიდა, — აღიარა კილინგმა. — ვის შეეძლო იმ საღამოს მეტოქეობა გაეწია საბჭოთა მხტომელისათვის?"

და მაინც დასავლეთგერმანელი სპორტსმენი სპეციალისტებმა ტყუილად როდი მიაკუთვნეს მსოფლიო „ელიტას". ასე რომ, მისი იმედები, კარგად იასპარეზოს პრაღის ევროპის ჩემპიონატში და შემდეგ მოსკოვის ოლიმპიადაზე, საფუძველს მოკლებული არ არის (საკდესი).

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 07812